ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1643073

ნომერი: AR1270430

თარიღი : 12.12.2014

გაცემის თარიღი : 15.12.2014

გაცნობის თარიღი : 15.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჟორდანია , N 21-23 , მოპირდაპირედ (ნაკვეთი 22/012);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლაშა ლალიაშვილი პ/ნ 01025005491
- პეტრიწის 8 ბ

ორგანიზაცია:
- შპს მწვანე სახლი კოდი: 404997740

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი დემონტაჟი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიაზე არსებული ელექტრო გადამცემი ბოძების დემონტაჟისა და ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმართველის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ახალი ელექტრო გადამცემი ბოძების მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, ჟორდანიას ქ. #21-23 მოპირდაპირედ (ნაკვ. #22/012), შპს "თეთრი სახლი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული ელექტრო გადამცემი ბოძების დემონტაჟსა და ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმართველის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ახალი ელექტრო გადამცემი ბოძების მოწყობას. განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.18.13.022.012; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებული გენგეგმა, მესაკუთრის მინდობილობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტქის მერიის სსიპ "ქონების მართვის სააგენტო"-ს გადაწყვეტილება #QN1268082 13.12.2014 წ.) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, ჟორდანიას ქ. #21-23 მოპირდაპირედ (ნაკვ. #22/012), შპს "თეთრი სახლი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული ელექტრო გადამცემი ბოძების დემონტაჟისა და ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმართველის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ახალი ელექტრო გადამცემი ბოძების მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: ახალი ქსელის მოწყობის შემთხვევაში თვითმმართველი ერთეულის/ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სათანადო საპროექტო დოკუმენტაცია (პროექტი, მოსაწყობი ხაზობრივი ნაგებობების საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელ. ვერსია, ფოტოსურათები) თბილისის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებასთან ერთად წარდგენილ იქნას ქ. თბილისის სსიპ მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ "ქონების მართვის სააგენტო"-ში.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.